ბრძანება:**ბ132.1322221712**

თარიღი:**05/08/2022**

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის

ბრძანება

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ავტობუსი „პაზ-32054“ (სახ. ნომერი: LL-189-NL, გამოშვების წელი: 2006 წ) პრივატიზების მიზნით უპირობო ელექტრონული აუქციონის გამოცხადების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ და „დ.ა“ პუნქტების, 118-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 119-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის #669-ე დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების“ და „ დუშეთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 ივნისის #29 განკარგულების საფუძველზე:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს უპირობო ელექტრონული აუქციონი დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების - ავტობუსი „პაზ-32054 (სახ. ნომერი: LL-189-NL, გამოშვების წელი: 2006 წ) პრივატიზების მიზნით

2. ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 6500 (ექვსი ათას ხუთასი) ლარი;

3. ქონების პრივატიზების მიზნით აუქციონში მონაწილის წინასწარი შეტანის „ბე“-ს ოდენობა განისაზღვროს 650 (ექვსას ორმოცდაათი) ლარით, ხოლო ბიჯის ოდენობა 100 (ასი) ლარით;

4. დამტკიცდეს დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების უპირობო ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია დანართი #1 შესაბამისად.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მანანა ნარიმანიძე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი